"მართლწერის საკითხები პუნქტუაცია"

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის
კორტოხის საჯარო სკოლის ქართული
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

გულვარდი ბოლქვაძე

gulobolqvadze123@gmail.com

,,პუნქტუმ” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ,, წერტილი’’-ს. მისი დანიშნულებაა წინადადება ნათელი და ზუსტი გახადოს.

- ქართულ ენაში გამოიყენება შემდეგი სასვენი ნიშნები:
- წერტილი; (.)
- კითხვის ნიშანი; (?)
- ძახილის ნიშანი; (!)
- კითხვა-ძახილის ნიშანი; (?!)
- წერტილ-მძიმე; (;)
- ორწერტილი; (:)
- მრავალწერტილი; (…)
- ბრჭყალები; (,, ‘’)
- ფრჩხილები; ()[]
- დეფისი; (-)
- ტირე; (_)
- მძიმე; (,).

- ნაწერ თუ ნაბეჭდ
ტექსტში გამოიყენება ზემოთ ჩამოთლილი სასვენი

- ნიშნები, როგორც ცალკ-
ცალკე, ისე ერთად, მაგალითად, კითხვისა და ძახილის ნ
იშნი (?!) , ძახილის ნიშნი და მრავალწერტილი (! ...),
კითხვის ნიშნი და მრავალწერტილი (?
...), მძიმე და ტირე (, ---).

- ზოგი სასვენი ნიშანი გამოიყენება არაპირდაპირი დანიშნ
ულებითაც (როგორც ტექნიკური ნიშანი); მაგალითად, წე
რტილი ---- სიტყვის შემოკლების ნიშნად, დეფისი--
გადატანის ნიშნად და
სხვა. ჩვენ ასეთ გამოყენებასაც სასვენ ნიშნებთან ერთად
განვიხილავთ





წერტილი (.)

1. წერტილი დაისმის თხრობითი წინადადების ბოლოს და გვიჩვენებს, რომ აზრი (წინადადება) აქ დასრულდა.

მაგ. დილით მამლის ყივილმა გამაღვიძა.

2. წერტილი დაისმის სახელდებით წინადადების ბოლოს. მაგ. ცა. მზე.ზღვა.

3. წერტილი დაისმის
პროგრამების, მოხსენებების ან სამეცნიერო ნაშრომის გეგმის შედგენის დროს საკითხების ჩამოთვლ ისას და რიგობითი ნომრის აღსანიშნავად გამოყენებული ასოებისა და რომაული ან არაბული ციფრების შემდეგ.

მაგ. 1.5. ა. ბ.

4. წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლების ნიშნადაც. აკ. წერეთელი.

ი. ჭავჭავძესა

5.კითხების დანომრვისას ასოებისა და ციფრების შემდეგ შეიძლება წერტილის ნაცვლად გამოვიყენოთ ფრჩხილი. მაგ. ა), ბ) ან 6), 9) და ასე შემდეგ.ამ შემთხვევაში ფრჩხილის შემდეგ წერტილი საჭირო არ არის.

ძახილის ნიშანი(!)

ძახილის წინადადება მოლაპარაკე პირის დიდ გრძნობებს, ემოციებს გადმოსცემს. ემოცია სხვადასხვაგვარია და ძახილის წინადადებაც, შინაარსის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ:კმაყოფილების, სიხარულის, აღტაცების, გაკვირვების, დანანების, სიბრალულის, აღშფოთების, მწუხარების გამომხატველად.

ძახილის ნიშანი დაისმის:

ძახილის წინადადების ბოლოს: მაგ.ქრისტე აღსდგა!

ძახილის ნიშანი დაისმის ბრძანებითი წინადადების ბოლოს. მაგ. აბა, ახლავე წადი!

მიმართვასთან: შვილებო! ძმებო! მიყვარხართ!

ცალკე გამოყენებულ შორისდებულთან: ვაშა! ბრავო!

ძახილის ნიშნით გამოიყოფა მიგებითი ნაწილაკი

(განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ცალკე დგას): დიახ! არა!

- **კითხვა-ძახილის ნიშანი; (?!)**

კითხვით–ძახილის წინადადება — წინადადების ერთ-ერთი სახეა, რომელშიც კითხვასთან ერთად გადმოიცემა ძლიერი გრძნობა. კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს ორი ნიშანი
დაისმის: კითხვის და ძახილის.

მაგ: 1.კაცმა კაცი როგორ უნდა მოკლას?!
2. ვა, გაგონილა?! (ვაჟა)
3.ეს რა ამბავია? რას ამბობს ლევანი?! (მ.ჯავახოშვილი).
4.არიქა, ვინ ხართ მამაცი?! (აკ.წერეთელი).
5.კაცია- აადამიანი?! (ი.ჭავჭავაძე)

წერტილ- მძიმე(;)

- წერტილ-მძიმე ერთმანეთისაგან მიჯნავს, გამოყოფს ერთგვარ წევრებს თუ ერთგვარ წინადადებებს. წერტილ - მძიმე შუალედურ ადგილზე მდგომი სასვენი ნიშანია წერტილსა და მძიმეს შორის.
- წერტილ -მძიმე დაისმის:
  - თუ წინადადებები რამდენადმე დამოკიდებული არიან და ერთიანდებიან ერთ რთულ წინადადებად უკავშიროდ; უფრო მეტად მაშინ, როცა წინადადებები საკმაოდ გავრცობილია და მათ შორის არის მძიმეები.
  - რამდენიმე დამოუკიდებელ წინადადებათა შორის, როცა მომდევნო წინადადება იმეორებს რომელიმე სიტყვას; იგულისხმება, იგი შეცვლილია ნაცვალსახელით, მითუმეტეს მაშინ - თუ წინადადებთა შიგნით არის მძიმეები
- მაგ. ---ახოვანო ფრინველნო, ვაჟკაცნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან, უკან; ცოტა მოშორებით დადექით.

3) რამდენიმე ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებატა გასამიჯნავად, როცა ისინი მეტად გავრცობილია და ექვემდებარებიან ერთ მთავარს: მაგ:მწყემსები ამბობდნენ,
რომ ისინი ერთსა და იმავე დროს მწყემსებიც არიან და მხედრები; რომ არავის თავს ესხმიან, თუ მათ არ დაეცნენ თავზე;
რომ ისინი თაყვანს ცემენ მხოლოდ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს.
4) საკმად გავრცობილ ჩამოთვლათა ბოლოს, თუ მათში არის რაიმე სასვენი ნიშანი. მაგ. მე მისი გაზრდილი ვარ და რაც კარგი სიტყვა მოგახსენეთ, სულ მაგისგან გამიგია;
სახელის გატეხას თავის გატეხა
სჯობიაო; სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქაზედაო

ორწერტილი (:)

- ორწერტილი იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში.
- ორწერტილი დაისმის:
  - თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვის შემდეგაა. მინდორი, ტყე, ველი.
  - ერთგვარ წევრა შორის ორწერტილი მაშინსც შეიძლება დაისვას, როცა წინადადებაში არ არის განმაზოგადოებელი სიტყვა, მაგრამ დამწერს სურს მითითება ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე.
- მაგ. აქ შეკრებილიყვნენ: მოხუცები, ახალგაზრდები, ქალები, ბავშვები.
  - უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს, ან კიდევ ხსნის, განმარტავს, ვრცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობა. მაგ. ნიკო სოფლის მასწავლებელი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ - კარი, ვენახი, ჰყავდა მოსიყვარულე ცოლ - შვილი და რა თქმა უნდა, უამრავი მადლიერი მოწაფე.
  - პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა.
- მაგ. ბოლოს ჰკითხა: ,, მითხარ, რა გქვია სახელად?''



მრავალწერტილი (...)

- მრავალწერტილი ... დაისმის:
- როცა სათქმელი დაუმთავრებელია, შეწყვეტილ - დაყოვნებულია, ნაწილ - ნაწილ წარმოითქმის. ძირითადი მიზეზი ამისა არის მთქმელის მიერ სულიერი მდგომარეობა, ავადმყოფობა, უღონობა, გრძნობათა სიჭარბე, შეგნებულად აზრის არ დამთავრება;
- როცა ციტატა არასრულია;
- მრავალწერტილით აღინიშნება შეფერხება ენის მოკიდებისას, ბორძიკისას.
- ასევე მრავალწერტილით აღინიშნება არასრული ციტატა, როცა მას დედანთან შედარები აკლია თავი, ბოლო ან შუა ნაწილი.

ბრჭყალები ,, ‘’

ბრჭყალებში ჩაისმის:

- უცვლელად მოყვანილი სიტყვასიტყვით მოყვანიი ციტატები, გამოთქმები, რომელიც სხვას ეკუთვნის და არა ავტორს.

რუსთაველმა ბრძანა: ,, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია’’.

- რაიმე საგნის, ორგანიზაციიას, დაწესებულების, გაზეთის, ჟურნალის, ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის, გემის და სხვათა სახელწოდებები:

გაზეთი ,,ალია’’, ლექსი ,,მერანი’’, კინოფილმი ,,გიორგი სააკაძე’’

- ირონიულად გამოყენებული სიტყვები: გიორგი დიდხანს აფრქვევდა თავის ,, სიბრძნეს’’
- ლიტერატურაში დასაშვები ბარბარიზმები: ,, იამშიკმა’’ ,,შემომიბღვირა’’
- წერტილი, მძიმე, წერტილ - მძიმე ან ტირე მხოლოდ დახურული ბრჭყალების შემდეგ დაისმის: მაგ. მაყურებელმა დიდი ინტერესით ნახა ქართული კინოფილმი ,, ნატვრის ხე’’, რომელიც თენგიზ აბულაძემ გადაიღო.
- კითხვისა და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების წინ, თუ იგი განეკუთვნება იმ სიტყვას ან სიტყვებს რომლებიც ბრჭყალებში მოქცეული.
- მაგ. ,, მტკიცედ სდგაა’’---- ჰკითხა იაკობმა შუშანიკს.
- კითხვის და ძახილის ნიშნები დაისმის ბოლო ბრჭყალების შემდეგ, თუ ის ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას:
- ვისი ლექსია ,,განთიადი’’?

ფრჩხილები ()

ფრჩხილები ერთი ნიშანია.

ფრჩხილებში ჩაისმის:

- სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ხსნიან, განმარტავენ წინა სიტყვის მნიშვნელობას: დიაკვანმა მღვდელს აიაზმა (ნაკურთხი წყალი) მიაწოდა.
- ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც იძლევიან
- დამატებით ცნობას, ახსნა-განმარტებას თუ შენიშვნას წინადადებაში გამოტქმულ ათან დაკავშირებით: სანდრომ (უკან მოდიოდა) მოისურვა კახას მიშველება.
- მსმენელთა რეაქცია სტენოგრაფიულ ანგარიშებში: (ტაში), (სიცილი).
- ფჩხილებში ჩაისმის ტექსტში დამოწმებული წყაროზე მითითება: ილიას ეს წერილი მისი თ ხზულებების V ტომშია დაბეჭდილი (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი V, თბ., 1987 წ. გვ. 34-76).
- არც გახსნილ და არც დახურულ ფრჩხილის წინ არ დაისმის წერთილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე. ისდინი დაისმის მხოლოდ დახურული ფრჩხილების შემდეგ.

დეფისი (-)

დეფისი გამოიყენება რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილების შესაერთებლად,
სიტყვის ნაწილის მომდევნო სტრიქონზე გადასატანად.
რა განსხვავებაა დეფისსა და ტირეს შორის?
დეფისი არის მოკლე--ერთი მარტივი ასოს სიგანის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც გამოიყენება ნაირფუძიან ან გაორკეცებული რთული სიტყვების დაწერილობისას:ორ-ორი, ცალკ-ცალკე, მე-2 .
ტირე კი არის ორი დეფისისხელა ჰორიზონტალური ხაზი და გამოიყენება წინადადებაში რომელიმე წევრის გამოტოვებისას.
ტირე შეიძლება დაიწეროს განკერძოებული სიტყვებისა და გამოტქმების გამოსაყოფათაც.

მძიმე (,)

- მძიმე დაისმის:
  - რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:

ქალი წამოდგა, ყველას დაემშვიდობა და წავიდა.

- რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:
- მინდორში უკვე აყვავდა ია, ენძელა და ყოჩივარდა.
- და ან თუ

კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები ერთმანეთისაგან მძიმეებით არ გამოიყოფა: ქალი და კაცი სხლში შევიდნენ.

ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა -- ყველა აქ მოსულიყო.

1.როგორც უკავშირო, ასევე კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები, თუ მათ არ აერთებთ ,,და'' კავშირი.

ბავშვი ხან იცინოდა, ხან ტიროდა;

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი.

2.მაპირისპირებელი კავშირების ,,მაგრამ'', ,,ხოლო'' წინ.

დაუშლეს, მაგრამ მაინც წავიდა.

3. ,,რომ''

კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყება დამოუკიდებელ წინადადებებს.

ლევანმა გადაწყვიტა, (რომ)ქალაქში წასულიყო.

4. ,,რომ''

კავშირის წინ მძიმე მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას.

გიორგი მალე მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო.

5.

,,რომ'' კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადაადებას; მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის.

გადადით ლინკზე და შეასრულეთ დავალება დასვი სასვენი ნიშნები

file:///C:/Users/user%201/Desktop/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.docx

შეცდომათა ტიპები:

ორთგრაფიულ-მორფოლოგიური შეცდომა-ერთ ფორმაშ დაშვებული შეცდომა, რაც გამოწვეულია მართლწერის პრინციპების დარღვევით(მაგ:გვერძე,სახში,აშკარათ,ჰექიმი,გააკეთებია,კითხა,ყავს,უდედმამო...)

სინტაქსური შეცდომა-ორი ფორმის არასწორი დაკავშრებით გამოწვეული შეცდომა(რიცხვშ შეთანხმება,ბრუნვაში შეთანხმება,კავშრთა მართებული გამოყენება,სიტყვაათა რიგი,განსაზღვრული წევრის ადგილი,მიზეზისა და მიზნის დამოკიდებულ წინადადებათა კავშრების აღრევა...მაგ:ყველა მოვიდნენ,ხიდან დაამზადეს,ჩემ მეგობარმა,ისე-როგორც...რადგან/რათა,რომელიც/ვინც,რაც...)

პუნქტუაციური შეცდომა-სასვენი ნიშნების გამოყენების პრინციპთან დაკავშრებული შეცდომები(სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა ან არასწორად გამოყენება.

სტილისტური შეცდომები-ფორმათა შეუსაბამობით გამოწვეული შეცდომები.სხვა ენის გავლენით შექმნილი არასწორი გამოთქმები;სიტყვის გამოყენება არასწორი ან არაზუსტი მნიშვნელობით;სიტყვათა უფუნქციო განმეორება;სიტყვათა უმართებლო შეხამება,ფუჭსიტყვაობა;სხვადასხვა გამოთქმის აღრევა.

ტექსტის რედაქტირება

- ტექსტის რედაქტირება გულისხმობს ტექსტში არსებული ყველა ტიპის შეცდომის გასწორებას, როგორიცაა: ასობგერის გამოტოვება,ზედმეტი ასობგერის, არასწორი დაწერილობა,
- ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური,სინტაქსური შეცდომები.

ტავტოლოგია სიტყვათა უფუნქციო გამეორება	გოგონა ოთახში შემოვიდა,გოგონამ რაღაცა იკითხა, გოგონას მაშინვე გასცეს პასუხი, გოგონამ კი ამ პასუხზე გულიანად გაიცინა..
ატროფია- სიტყვის გამოყენება არასწორი ან არაზუსტი მნიშვნელობით	ბავშვი კარებისკენ გაილურსა, საშინლად მიყვარს...
კალკი- სხვა ენობრივი კონსტრუქციების პირდაპირი სიტყვასიყვით თარგმნის შედეგად მიღებული არასწორი ენობრივი ფორმები ან გამოთქმები	არასწორია:გაყიდვაშია,შეტ ევაშია,მოხსენებას აკეთებს- სწორია: იყიდება,უტევს, მოხსენებით გამოდის...

სტილისტური შეცდომები (ზოგადი ანალიზი)

ერთი ზმნური ფორმის ნაცვლად ქართულისათვის შეუფერებელი ორი ფორმის გამოყენება	მაგალითად: მოახდინა დაჯახება-- დაეჯახა, განახორციელა დათვალიერება-დაათვალიერა..
პლეონოზმი- ზედმეტი სიტყვების ან გამოთქმების გამოყენება, ლოგიკურად და ფუნქციურად უსარგებლო, ერთნაირი მნიშვნელობის უმართებულო გამოყენება	ქვემოდ ჩამოვარდა, ირგვლივ გრშემორტყმული, ახალგაზრდა გოგონა, გამოამზეურა მზის სინათლეზე, ჩემი სკუთარი თვალებით ვნახე, პატარა ვუნდერკინდი,პირვ ელი დებიუტი...

კონტამინაცია- სხვადასხვა გამოთქმის აღრევა	ბოდიში მოუხადა-მადლობა გადაუხადა:არასწორი გამოთქმაა მადლობა მოუხადა. ცოდნის გაღრმავება-დონის ამაღლება. არასწორია დონის გაღრმავება.
პარონომაზია-ერთი მნიშვნელობისა და ძირი სითყვების ჭარბად გამოყენება	გოგონა ცხარე ტირილით ატირდა, ბავშვმა წამოძახილით წამოიძახა.
სიტყვათა უმართებულო შეხამება, ფუჭსიტყვაობა	უდიდესი,შესანიშნავი და ბრწყინვალე პოეტი ილია ჭავჭავაძე დაიბადა ყვარელში.

გადადი ლინკზე შეასრულე ტექსტის რედაქტირება file:///C:/Users/user%201/Desktop/2%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.docx



გმადლობთ ყურადღებისთვის!